დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 3

ქ. დმანისი 30 მარტი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 საკრებულოს წევრი.

აგრეთვე ესწრებოდა - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ბექა ლაგურაშვილი და ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ნატო სამადაშვილი.

სხდომის მდივანი: თეონა ოქრიაშვილი.

**სხდომა დაიწყო:** 12.:00
**სხდომა დასრულდა:** 12:30

დღის წესრიგი:

| | |
|---|---|
| 1 | **დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |

| | |
|---|---|
| **მომხსენებელი:** | **თ.ტატულაშვილი** |

| | |
|---|---|
| 2 | **დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |

| | |
|---|---|
| **მომხსენებელი:** | **მ.ასლანიშვილი** |

| | |
|---|---|
| 3 | **დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ |

| | |
|---|---|
| **მომხსენებელი:** | **მ.ასლანიშვილი** |

| | |
|---|---|
| 4 | **დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ |

| | |
|---|---|
| **მომხსენებელი:** | **მ.აბრამიშვილი** |

| | |
|---|---|
| 5 | **განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე’’დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |

| | |
|---|---|
| 6 | **დადგენილება:** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **ლ.ზერუაშვილი** |

| | |
|---|---|
| 7 | **განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 იანვრის №გ-109.109230173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **ლ.ზერუაშვილი** |
| 8 | **განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 01 აგვისტოს Nგ-109.109222132 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **ლ.ზერუაშვილი** |
| 9 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **ლ.ზერუაშვილი** |
| 10 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **მ.ოკმელაშვილი** |

| | |
|---|---|
| 11 | **დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებთი უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **მ.ოკმელაშვილი** |

| | |
|---|---|
| 12 | **განკარგულება:** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ. |
| **მომხსენებელი:** | **მ.აბრამიშვილი** |

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული 12 საკითხი:

სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

**1.მომხსენებელი: თ.ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 თებერვლის N255 განკარგულების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ საქართველოში იაპონიის საელჩოსგან მიიღოს გრანტი არა უმეტეს 95864,00 აშშ დოლარის რაც ექვივალენტში შეადგენს 246984,00 ლარს, აღნიშნული თანხა გამოყენებული იქნება ნარჩენების შემგროვებელი

ორგანიზაციულ კოდში 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდის“-ს მუხლში. აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 3595880,00 ლარის ფარგლებში.
ორგანიზაციულ კოდში 05_02_02 „სახელოვნო განათლების ხელშეწყობა - ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა“ - „სუბსიდია“-ს მუხლიდან გადატანილ იქნას 1100,00 ლარი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში.
ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის „შემოსულობების“ და „გადასახდელების“ მოცულობა განისაზღვროს 27451,5 ათასი ლარის ოდენობით.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
**მომხრე: 26**
**წინაღმდეგი: 0**

**2.მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების -„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 23/01/2018; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016300) დამტკიცებულ დანართი №1-ში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით; (დანართი თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
**მომხრე: 26**
**წინაღმდეგი: 0**

**3.მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი- „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წლის 18 მარტის №9 დადგენილებით დაამტკიცა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება. შიდა აუდიტის დებულების მე-9 მუხლის პირველ პუნქტში სადაც მითითებულია შიდა აუდიტის ჯგუფის მუშაობის ფუნქცია მოვალეობები ჩანაწერში მითითებულია, რომ შიდა აუდიტის ჯგუფი ახორციელებს წინა აუდიტორული შემოწმების პერიოდში ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ვინაიდან შიდა აუდიტის დებულების მიხედვით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და უშუალოდ მას ეკუთვნის შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესწორდეს და მკაფიოდ გაიმიჯნოს შიდა აუდიტის ჯგუფის და მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციები.

აღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. შიდა აუდიტის ჯგუფი ახორციელებს სამსახურის სტრატეგიული და წლიური გეგმებით გათვალისწინებულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს, ადგენს და სამსახურის უფროსს წარუდგენს შესაბამის ანგარიშებს. ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს:
ა) მერიის სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესისა და საქმიანობის სფეროს აუდიტორული შემოწმება;
ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
გ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;
დ) მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
ე) მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისობის, ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
ვ) ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები სავალდებულოა შესასრულებლად და მათი შეუსრულებლობა შესაძლოა განხილული იქნეს დაწესებულების მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად;
ზ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სპეციფიკიდან, ამ დებულებიდან და არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს კანონმდებლობას, მერიის დებულებასა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.“

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
**მომხრე:** 26
**წინაღმდეგი:** 0

**4.მომხსენებელი: მურაზი აბრამიშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

1.„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესი“ (შემდგომში – წესი) არეგულირებს, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ (შემდგომში – მუნიციპალური ინსპექცია) 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (შემდგომში მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი) შესრულების კონტროლის განხორციელების წესს.

2. მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გაცნობა ხდება მოქმედი კანონმდებლობის და ამ წესის საფუძველზე.

**მუხლი 2. მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის წესი:**

სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.

2. მუნიციპალური ინსპექცია ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი საინფორმაციო ბაზა/რეესტრი, რომელშიც ასახული იქნება ის ობიექტები, რომელთა მშენებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალური ინსპექციის მიერ შეჩერებულ იქნება 2023 წლის 1 აპრილიდან.
3. მუნიციპალური ინსპექცია ვალდებულია ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული საინფორმაციო ბაზის/რეესტრის წარმოების პროცესისათვის გამოყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის შემოწმება გულისხმობს მუნიციპალურ ინსპექციაში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას.
5. ამ მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებულ შემოწმების პროცესში, აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი.
6. დათვალიერების ოქმი უნდა შედგეს სათანადო წესით და მოეწეროს ხელი მუნიციპალურ ინსპექციაში დასაქმებული შესაბამისი პირ(ებ)ის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დათვალიერების ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე. შესაძლებელია დათვალიერების ოქმზე, ასევე, დაფიქსირდეს სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერაც, რომლის არარსებობამაც არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორე.
7. მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუნიციპალური ინსპექცია იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იღებს ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობის შესახებ, რომელიც აღსასრულებლად მიექცევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. ამ მუხლის მეშვიდე პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, მუნიციპალური ინსპექცია ვალდებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პერიოდულობით განახორციელოს ობიექტის შემოწმება.
9. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, მუნიციპალური ინსპექცია გამოსცემს ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს „მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მუხლის მეცხრე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მუნიციპალური ინსპექციის ვალდებულება არ ვრცელდება ამგვარი ობიექტების მიმართ.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მომხრე:** 26

5.**მომხსენებელი: მურაზი აბრამიშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი- ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე"დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

შევიდეს ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №გ-109.109230584 განკარგულებაში და 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში დაემატოს შემდეგი სამი პროექტი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | ქ. დმანისში შემოსასვლელში არსებული სასაფლაოს შემოღობვა | კეთილმოწყობა | 28165 | |
| 13 | დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის (ს/კ 82.13.41.047) აღდგენის სამუშაოები | შენობა ნაგებობები | 40303 | |
| 14 | ქ. დმანისში შემოსასვლელში ცენტრალურ გზაზე, გმირი დედის ძეგლის, სანიაღვრე არხის და კედლის რეაბილიტაციაზე | კეთილმოწყობა | 45000 | |

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მომხრე: 26**

**წინააღმდეგი: 0**

6.**მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი- „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 21 მარტის GOV 1 23 00008507 წერილით დმანისის მუნიციპალიტეტისთვის ცნობილი გახდა, რომ „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №2 დადგენილების პრეამბულაში ამ აქტის გამოცემის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ძალადაკარგული სამართლებრივი აქტი ( „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი), რომელიც უნდა ჩანაცვლდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტით, ასევე „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №2 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები არ შეესაბამება საქართელოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჰ$^{2}$" ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას, ამიტომ რედაქტირებას ექვემდებარება აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, რომ ქონების გადასახადისგან გათავისუფლდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

ქონების გადასახადისგან გათავისუფლდეს;

ა) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ფართი);
ბ) დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი 3000 კვ.მდე;
გ) დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი 50 კვ/მ-მდე;

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** მიეცეს თანხმობა და დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მომხრე:** 26

**წინაღმდეგი:** 0

**7.მომხსენებელი: ლერი ბერუაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 იანვრის №გ-109.109230173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 იანვრის №გ-109.109230173 განკარგულების დანართი 1–ში და ემატება მხოლოდ ერთი ობიექტი, მიწის ნაკვეთი .

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სასოფლო-სამეურნეო | ს. ზემო კარაბულახი | 82.07.47.880 | 404 | | 2020 |

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** მიეცეს თანხმობა და დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მომხრე:** 26

**წინაღმდეგი:** 0

**8.მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 01 აგვისტოს Nგ-109.109222132 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ტექნიკური შეცდომის გამო შედის ცვლილება აღნიშნულ განკარგულებაში და ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით: მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა N56-ში მდებარე შენობის (ს/კ 82.01.46.081) პირველ სართულზე არსებული 197,57 კვ.მ ფართი, დარბაზი 394,31 კვ.მ ფართი, მე-2 სართულზე მდებარე 220,8 კვ.მ ფართი, სარდაფი 60 კვ.მ ფართი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 134,5 კვ.მ (ს.კ 82.01.46.081) და წმინდა ნინოს ქ. N58-ში მდებარე 303 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 82.01.46.786) სსიპ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს მისი არსებობის ვადით.".

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**წინაღმდეგი:** 0

**9.მომხსენებელი: ლერი ბერუაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი-დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

პროექტის მიზანია - მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს აუქციონის ფორმით, თანდართული დანართით წარმოდგენილი, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (თან ერთვის დანართი).

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მომხრე:** 26

**წინაღმდეგი:** 0

**10.მომხსენებელი: მაკა ოკმელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი-დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული, 2023 წლის სამოქმედო გეგმა დასამტკიცებლად საჭირო რეკომენდაციების გათვალისწინებით გადმოეგზავნა მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტური სამინისტროს მიერ.

სამოქმედო გეგმა მორგებულია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შშმ პირების საჭიროებებსა და გამოწვევებზე,რაც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდას.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მომხრე:** 26

**წინაღმდეგი:** 0

**11.მომხსენებელი:მაკა ოკმელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი-დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებთი უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შესაბამისი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სპორტსმენების ჩართვაზე სხვა-დასხვა ტიპის სპორტულ ღონისძიებებში, შესაბამისი გასვლითი ხარჯების (კვება, ტრანსპორტირება, საცხოვრებელი

ფართის ქირაობა) ოპტიმიზაცია და კონტროლის მექანიზმის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა ადგილობრივ დონეზე.

1.სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა (სპორტსმენების) კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო დღიური თანხის ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 30 (ოცდაათი) ლარს.

2.სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთათვის (სპორტსმენები, მწვრთნელები, წარმომადგენლები) საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის თანხის დღიური ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 100 (ასი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სპორტულ ღონისძიებებში სპორტსმენების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვების მიზნით თანხის ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირი, ვალდებულია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველად სტრუქტურულ ერთეულში წარადგინოს ხარჯვის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაცია, არაუგვიანეს ღონისძიების დასრულებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

წარმოდგენილი პროექტი პოზიტიურად აისახება დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტზე, ვინაიდან მოხდება ხარჯების ოპტიმიზაცია და გაიზრდება მხარჯავი დაწესებულების ანგარიშვალდებულება მერიის შესაბამისი სამსახურების მიმართ.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მომხრე:** 26

**წინაღმდეგი:** 0

12.**მომხსენებელი: მურაზი აბრამიშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით, დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 686000 ლარი განაწილდეს დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მომხრე:** 26

**წინაღმდეგი:** 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი

სხდომის მდივანი: თეონა ოქრიაშვილი

| დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები (სათიბი) | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | მისამართი | საკადასტრო კოდი | მიწის დანიშნულება (სათიბი) | მიწის დაზუსტ ფართობი /კვ.მ/ | საიჯარო ქირა წელიწად ში (ლარი) | საგარანტ იო /ზე 80%/ლარ ი/ | ბიჯი 20% /ლარი/ |
| | | | | | | | |
| 1 | სოფ. ზემო კარაბულახი | 82.17.41.184 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 332446 | 1164 | 931 | 233 |
| 2 | საზაფხულო საძოვრები | 82.17.42.123 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 19546 | 68 | 55 | 14 |
| 3 | მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი სალამალეიქი | 82.07.41.176 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 204874 | 717 | 574 | 143 |
| 4 | რაიონი დმანისი , ,,ზაფხულის საძოვრები,, | 82.17.42.136 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 152963 | 535 | 428 | 107 |
| 5 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.17.41.205 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 1096595 | 3838 | 3070 | 768 |
| 6 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.14.42.411 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 251718 | 881 | 705 | 176 |
| 7 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.17.41.209 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 549318 | 1923 | 1538 | 385 |
| 8 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.17.41.210 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 321518 | 1125 | 900 | 225 |
| 9 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.17.41.211 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 684734 | 2397 | 1917 | 479 |
| 10 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.17.42.141 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 663006 | 2321 | 1856 | 464 |
| 11 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.17.41.208 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 436120 | 1526 | 1221 | 305 |
| 12 | მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი კამარლო | 82.09.41.290 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 30551 | 107 | 86 | 21 |
| 13 | რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.17.42.137 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 423371 | 1482 | 1185 | 296 |
| 14 | მუნიციპალიტეტი დმანისი, საზაფხულო საძოვრები | 82.06.42.167 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 391131 | 1369 | 1095 | 274 |
| 15 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.17.41.212 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 251076 | 879 | 703 | 176 |
| 16 | მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები | 82.07.41.178 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 151810 | 531 | 425 | 106 |
| 17 | მუნიციპალიტეტის დმანისი, სოფელი კიზილქილისა | 82.11.41.208 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 482466 | 1689 | 1351 | 338 |
| 18 | მუნიციპალიტეტის დმანისი, საზაფხულო საძოვარი | 82.07.47.882 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 182879 | 640 | 512 | 128 |
| 19 | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი გომარეთი | 82.06.42.160 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 145750 | 510 | 408 | 102 |
| 20 | მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი იფნარი | 82.17.41.203 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 71064 | 249 | 199 | 50 |
| 21 | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი იფნარი | 82.17.41.204 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 71209 | 249 | 199 | 50 |
| 22 | დმანისის მუნიციპალიტეტი საზაფხულო საძოვრები | 82.17.41.202 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 1042235 | 3648 | 2918 | 730 |
| 23 | მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი ირგანჩაი | 82.03.41.450 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 83027 | 291 | 232 | 58 |
| 24 | მუნიციპალიტეტი დმანისი , ქვემო ოროზმანის ტერიტორია , ნაკვეთი "ლენინოვკა" | 82.14.41.305 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 50085 | 175 | 140 | 35 |
| 25 | დმანისი ს. კიზილქილისა | 82.11.41.206 | სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) | 48576 | 170 | 136 | 34 |

| | თემი | სოფელი | სამუშაოს დასახელება | მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | განთიადი | განთიადი | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე სკვერის მოწყობა | 16000 | |
| 2 | განთიადი | ტნუსი | გარე განათების წერტილების მოწყობა | 12000 | |
| 3 | განთიადი | ჯავახი | სოფლის სასაფლაოს შემოღობვა | 12000 | |
| 4 | განთიადი | ჯავახი | სოფლის გზის პირა მოსაცდელის მოწყობა | 4000 | |
| 5 | კარაბულახი | სოგუთლო | სოფლის სასმელი წყლის მილზე დამატება ახალი დებეტიდან | 10000 | |
| 6 | კარაბულახი | მამიშლარი | სოფელში არსებულ რეზერვუარზე სასმელი წყლის დამატება | 10000 | |
| 7 | კარაბულახი | უსეინქენდი | სასმელი წყლის მაგისტრალური მილის მოწყობა | 10000 | |
| 8 | კარაბულახი | მეორე სალამალეიქი | სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვა | 10000 | |
| 9 | კარაბულახი | პირველი სალამალეიქი | სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვა | 10000 | |
| 10 | კარაბულახი | ახა | ცენტრალურ ქუჩაზე გარე განათების მოწყობა | 10000 | |
| 11 | კარაბულახი | ძველი გოდაგდაგი | სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვა | 10000 | |
| 12 | კარაბულახი | ახალი გოდაგდაგი | სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა | 10000 | |
| 13 | კარაბულახი | ქვემო კარაბულახი | შიდა სოფელში გარე განათების მოწყობა | 10000 | |
| 14 | კარაბულახი | ზემო კარაბულახი | საზოგადოებრივ სივრცეში სველი წერტილის მოწყობა | 16000 | |
| 15 | ოროზმანი | დალარი | გარე განათების გაგრძელება | 10000 | |
| 16 | ოროზმანი | ვაკე | გარე განათების განახლება | 12000 | |
| 17 | ოროზმანი | მთისძირი | მინი სკვერის მოწყობა | 12000 | |
| 18 | ოროზმანი | ზემო ოროზმანი | გარე განათების მოწყობა | 16000 | |
| 19 | ოროზმანი | ქვემო ოროზმანი | საზოგადოებრივ სივრცეში სველი წერტილის მოწყობა | 12000 | |
| 20 | დმანისი | პანტიანი | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე სველი წერტილის  მოწყობა | 12000 | |
| 21 | დმანისი | შინდლარი | გარე განათების წერტილების მოწყობა | 12000 | |
| 22 | დმანისი | იაღუფლო | სანიაღვრე არხის მოწყობა | 12000 | |
| 23 | დმანისი | იაღუფლო | გარე განათების წერტილების მოწყობა | 4000 | |
| 24 | გომარეთი | გომარეთი | სკვერის შემოღობვა და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა | 16000 | |
| 25 | გომარეთი | ქცია | სოფლის შიდა გზის ბეტონის საფარის მოწყობა | 10000 | |
| 26 | გომარეთი | მამულო-ქართული კაკლიანი | სოფლის ცენტრში მოსაცდელის გადახურვა (მამულო) | 10000 | მამულოს და ქართული კაკლიანის თანხა არის გაერთიანებული საერთო პროექტის განსახორციელებლად |
| 27 | გომარეთი | მამულო-ქართული კაკლიანი | სოფ.მამულოს სკვერში ინვენტარის შეძენა და სველი წერტილების მოწყობა | 10000 | მამულოს და ქართული კაკლიანის თანხა არის გაერთიანებული საერთო პროექტის განსახორციელებლად |
| 28 | კიზილქილისა | კიზილქილისა | გარე განათების წერტილების მოწყობა | 12000 | |
| 29 | კიზილქილისა | აზკაკლიანი | გარე განათების წერტილების მოწყობა | 12000 | |
| 30 | სარკინეთი | სარკინეთი | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა | 10000 | |
| 31 | სარკინეთი | განახლება | შიდა ქუჩებზე გარე განათების მოწყობა | 10000 | |
| 32 | სარკინეთი | ველისპირი | მოსაცდელის მშენებლობა და მოწყობა | 10000 | |
| 33 | ამამლო | ამამლო | გარე განათების მოწყობა | 20000 | |
| 34 | ამამლო | ანგრევანი | სოფლის სასაფლაოს შემოღობვა | 10000 | |
| 35 | ამამლო | ბაზაქლო | გარე განათების მოწყობა | 16000 | |
| 36 | ამამლო | საფარლო | სკვერის მოწყობა | 12000 | |
| 37 | ამამლო | მამიშლო | გარე განათების მოწყობა | 12000 | |
| 38 | ამამლო | ტყისპირი | წყლის სისტემის მოწყობა | 10000 | |
| 39 | გუგუთი | გუგუთი | სოფლის შიდა გზების მოხრეშვა | 10000 | |
| 40 | გუგუთი | კამიშლო | სოფლის ცენტრში სველი წერტილის მოწყობა | 12000 | |
| 41 | გუგუთი | ლოქჭანდარი | ლოქჭანდრის მისასვლელი გზის მოწყობა | 10000 | |
| 42 | იფნარი | იფნარი | სასაფლაოს შემოღობვა | 12000 | |
| 43 | იფნარი | დაგარახლო | სოფლის ცენტრში სველი წერტილის მოწყობა | 16000 | |
| 44 | იფნარი | კიზილაჯლო | სოფლის ცენტრში სველი წერტილის მოწყობა | 10000 | |
| 45 | იფნარი | საჯა | გარე განათების მოწყობა | 10000 | |
| 46 | იფნარი | ორმაშენი | წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 5000 | |
| 47 | იფნარი | ორმაშენი | შიდა გზების მოხრეშვა | 5000 | |
| 48 | იფნარი | ბახჩალარი | ფარდულის შენობის მშენებლობა | 10000 | |
| 49 | საკირე | საკირე | სოფლის შიდა გზების მოწყობა | 10000 | |
| 50 | საკირე | გორა | სოფლის ცენტრალური ქუჩის მოხრეშვა | 10000 | |
| 51 | ირგანჩაი | ირგანჩაი | გარე განათების მოწყობა | 20000 | |
| 52 | დიდი დმანისი | ვარდისუბანი | ვარდისუბნის ცენტრში არსებული სკვერის შემოღობვა | 8000 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 53 | დიდი დმანისი | ვარდისუბანი | ერთი ქუჩის მოხრეშვა | 4000 | |
| 54 | დიდი დმანისი | დიდი დმანისი | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე სველი წერტილის მოწყობა | 9000 | |
| 55 | დიდი დმანისი | დიდი დმანისი | მარცვლეულის დასაფქვავი წისქვილის შეძენა | 7000 | |
| 56 | დიდი დმანისი | პატარა დმანისი | სოფელში მშენებარე სკვერის გაფართოება | 5000 | |
| 57 | დიდი დმანისი | პატარა დმანისი | ქუჩების მოხრეშვა | 5000 | |
| 58 | დიდი დმანისი | ბოსლები | გარე განათების მოწყობა 6 ერთეული | 2000 | |
| 59 | დიდი დმანისი | ბოსლები | რიტუალების დარბაზთან საპირფარეშოს მოწყობა | 6000 | |
| 60 | დიდი დმანისი | ბოსლები | ქუჩების მოხრეშვა | 4000 | |
| 61 | მაშავერა | მაშავერა-უკანგორა | საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია | 26000 | მაშავერის და უკანგორის თანხა არის გაერთიანებული საერთო პროექტის განსახორციელებლად |
| 62 | კამარლო | შახმარლო | წყალი | 12000 | |
| 63 | კამარლო | ქარიანი | წყალი | 10000 | |
| 64 | კამარლო | კამარლო | შიდა გზები | 10000 | |
| 65 | კამარლო | კამარლო | განათება | 6000 | |
| | | | | 686000 | |

**მანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო**

| ით № | მერიის თანამდებობის პირების რაოდენობა | სამსახურში თანამშრომელთა რაოდენობა | რანგი | თანამდებობა | საშტატო რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | | | პოლიტიკური თანამდებობის პირი - მუნიციპალიტეტის მერი | 1 | 5445 |
| 2 | 2 | | | პოლიტიკური თანამდებობის პირი - მერის პირველი მოადგილე | 1 | 4235 |
| 3 | 3-4 | | | პოლიტიკური თანამდებობის პირი - მერის მოადგილე | 2 | 3870 |
| 4 | 5 | 56 | პირველი | **ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი** | 1 | 2910 |
| 5 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 7 | 1580 |
| 6 | | | მესამე | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1460 |
| 7 | | | მეორე | იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 2180 |
| 8 | | | მეოთხე | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 1210 |
| 9 | | | მეორე | ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 2180 |
| 10 | | | | ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში | 16 | 1820 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | | | | ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში | 27 | 1210 |
| 12 | 6 | 10 | პირველი | **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი** | 1 | 2910 |
| 13 | | | მეორე | შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 2180 |
| 14 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1580 |
| 15 | | | მესამე | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1460 |
| 16 | | | მეორე | ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 2180 |
| 17 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1580 |
| 18 | | | მესამე | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1580 |
| 19 | 7 | 7 | პირველი | **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი** | 1 | 2910 |
| 20 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1580 |
| 21 | | | მესამე | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1580 |
| 22 | | | მესამე | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1460 |
| 23 | 8 | 4 | პირველი | **განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი** | 1 | 2910 |
| 24 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1580 |
| 25 | | | მესამე | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1460 |
| 26 | 9 | 11 | პირველი | **ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი** | 1 | 2910 |
| 27 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1580 |
| 28 | | | მესამე | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1460 |
| 29 | | | მესამე | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1460 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 30 | | | მეორე | ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 2180 |
| 31 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1580 |
| 32 | | | მესამე | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1460 |
| 33 | 10 | 4 | პირველი | **მუნიციპალური ინსპექცია** | 1 | 2910 |
| 34 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1580 |
| 35 | | | მეორე | ადმინისტრაციული და საჯარო ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 2180 |
| 36 | | | მეოთხე | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 1210 |
| 37 | 11 | 6 | პირველი | **სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი** | 1 | 2910 |
| 38 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1580 |
| 39 | | | მესამე | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1460 |
| 40 | 12 | 4 | პირველი | **ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი** | 1 | 2910 |
| 41 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1580 |
| 42 | | | მეორე | მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 2180 |
| 43 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1580 |
| 44 | 13 | 4 | პირველი | **შიდა აუდიტის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი** | 1 | 2910 |
| 45 | | | მესამე | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1580 |
| 46 | | | მესამე | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1460 |
| თანამშრომელთა რაოდენობა სულ: 110 | | | | | | |